სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს
გადაწყვეტილება №389
(ოქმი №358)

თბილისი 2017 წლის 2 აგვისტო

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ ქ. ბათუმში უძრავი ქონების შეძენაზე თანხმობის მიცემის შესახებ

ვინაიდან, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელი" გეგმავს საქართველოს რეგიონებში რეგიონალური სტუდიების მოწყობას და ამ მიზნით, ამ ეტაპზე, ქ. ბათუმში უძრავი ქონების შეძენას,

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალური დირექტორის 28.07.2017წ. №3175/03 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

მიეცეს თანხმობა სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალურ დირექტორს, რეგიონალური სტუდიის მოწყობის მიზნით, სსიპ "საზოგადოებრივმა მაუწყებელმა" ქ. ბათუმში, ცენტრალურ უბნებში, შეიძინოს დაახლოებით 500 კვ.მ-მდე ფართის (+ – 10%) უძრავი ქონება მშენებლობის ნებართვით (1კვ.მ.-ის ღირებულება სავარაუდოდ 200 აშშ დოლარი (ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში)), რომელიც უნდა იყოს განთავსებული ქალაქის ცენტრის მაღალსართულიანი შენობის ზედა სართულზე, ოთხმხრივი ხედით ქალაქზე, საიდანაც მოხდება ქალაქის იერსახის მახასიათებელი ადგილების იდენტიფიცირება და ტელეკამერებს ექნებათ წვდომა ქალაქის ყველა მნიშვნელოვან წერტილთან.

დანართი: სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალური დირექტორის 28.07.2017წ. №3175/03 სამსახურებრივი ბარათი.

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე:

გრიგოლ გოგელია

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს წევრები:

გიორგი კოხრეიძე

ქეთევან მსხილაძე

მარინა მუსხელიშვილი

ირინა ფუტკარაძე

სულხან სალაძე

გიორგი ნიჟარაძე

ირაკლი პაპავა

გიორგი იაკობაშვილი